საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობახიძე ირაკლი გიორგის ძე

კობახიძე ირაკლი გიორგის ძე (დ. 25. X. 1978, თბილისი), იურისტი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2016–19.

2000 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი, 2006 – ჰ. ჰაინეს სახ. დიუსელდორფის უნ-ტი (გერმანია) სამართლის დოქტორის ხარისხით. 2000–01 მუშაობდა აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტოში (USAID) საზ. განათლების პროექტის რეგიონულ კოორდინატორად, 2005–12 – თსუ-ში ასისტენტ-პროფესორად, 2011–14 – კავკასიის უნ-ტში ასოცირებულ პროფესორად; 2011–12 იყო ფონდ ,,ღია საზოგადოება–საქართველოს“ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრი, ამავე დროს – ორგანიზაციის ,,ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში“ ექსპერტი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში, 2006–14 – გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი. 2014-იდან არის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი. k. არის საქართვ. მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, 2021-იდან – პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავ-რე. დაჯილდოებულია თავისუფლების საპარლამენტო ორდენით (2021).